

# საერთო ურნალი

առևտինութեան առաջակա պատմութեան առաջակա պատմութեան

(ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିଚାଳନାରେ ଉପରେ)

շշրնալով դասու წյալովագնու . . . 3 մա. || հյօգէյցուա: կազասուս սամցուր. սածոցագոյցեա  
տուռա նամցրո եղոնց ցասասպութագ . 10 յա. աժրնու: Տիֆլու. Բարյատինսկայ. № 5

କେତେବେଳେ ଘରରୁ

1910 ଜାନ୍ମନ୍ତରେ - 14 ମୁହଁ - No. 10.

30503610

|                         |   |    |
|-------------------------|---|----|
| 3. რცხილაძე . . . . .   | გზა უტევარი, გზა შართალი . . . . .                          | 3  |
| 3. ყიფიანი . . . . .    | საქართველოს სანერგებლის გურია-სამეგრელო . . . . .           | 7  |
| 8. ჩიგაძე . . . . .     | სამეცნიერო გაზირ განვითარება 1910 წლის გაზაფხულზე . . . . . | 7  |
| 3. მჭედლიშვილი . . .    | დვინის ზაანი და ავადმყენთბანი . . . . .                     | 9  |
| დ. გორგაძე . . . . .    | შოლის უფლებარის ხმარება . . . . .                           | 11 |
| ი. ქუთათელაძე . . . . . | აბერშემის პარკის ფასი უცხოეთის ბაზარზე . . . . .            | 12 |

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი.....13  
საყურადღებო კნობიბი:

|  |    |
|--|----|
| କର୍ତ୍ତବ୍ୟାକରଣ ଶିଳ୍ପର ଜ୍ଞାନିଙ୍କ ମନ୍ଦିରଙ୍କରୁ .....   | 13 |
| ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଶାସନଗୁଡ଼ୀରୁର ମହାରା .....                | —  |
| ଅଭ୍ୟାସିଙ୍କ ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟାରେ ମୃତ୍ୟୁରାବା .....         | 14 |
| ପ୍ରାଚୀଲିକ ମୃତ୍ୟୁରାବା .....                         | 15 |
| ମାନୁଷିକ ମୃତ୍ୟୁରାବା .....                           | —  |
| ଶାଶବାଦିକର ଶ୍ରେଷ୍ଠଗୁଡ଼ା ଜ୍ଞାନିଙ୍କ ମନ୍ଦିରଙ୍କରୁ ..... | —  |
| <b>ନିର୍ମାଣରେଖାନି .....</b>                         | 16 |

**ଓଡ଼ିଶା, ପ୍ରଦୀପକାନ୍ତରେ—ମୁଦ୍ରଣଙ୍କଣ ହୋଇଥାଏବା ପରିମାଣ ଓ ପରିପାଲନ କାର୍ଯ୍ୟ**

# საერთო ურნალი

առևտինութեան առաջակա պատմութեան առաջակա պատմութեան

(ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିଚାଳନାରେ ଉପରେ)

շշրմալով գաևո წյառիթագնու . . . 3 մա. || հյօդպա: զազասով սամցուր. սածոցագոյեա  
տոտո նամքրո եղոնց զասակուգագ . 10 յա. || աջրնու: Տիֆլոս. Բարյատինսկայ. № 5.

କେବଳମାତ୍ର ପାଠ୍ୟଗୀତ

1910 ଜାନ୍ମନ୍ତରେ - 14 ମୁହୂର୍ତ୍ତରେ - No. 10.

30503610

|                         |   |    |
|-------------------------|---|----|
| 3. რცხილაძე . . . . .   | გზა უტევარი, გზა შართალი . . . . .                          | 3  |
| 3. ყიფიანი . . . . .    | საქართველოს სანერგებლის გურია-სამეგრელო . . . . .           | 7  |
| 8. ჩიგაძე . . . . .     | სამეცნიერო გაზირ განვითარება 1910 წლის გაზაფხულზე . . . . . | 7  |
| 3. მჭედლიშვილი . . .    | დვინის ზაანი და ავადმყენთბანი . . . . .                     | 9  |
| დ. გორგაძე . . . . .    | შოლის უფლებარის ხმარება . . . . .                           | 11 |
| ი. ქუთათელაძე . . . . . | აბერშემის პარკის ფასი უცხოეთის ბაზარზე . . . . .            | 12 |

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი.....13  
საყურადღებო კნობიბი:

|                                     |    |
|-------------------------------------|----|
| କରୁଣାରୁଦ୍ଧ ଶିଳାର ଜ୍ଵଳନୀର ମହାଦେଖାଙ୍କ | 13 |
| ଅନ୍ତର୍ବାହିକ ଶାନ୍ତିରୁଗ୍ରହଣ ମହାରୁ     | —  |
| ଅନ୍ତର୍ବାହିକ ଏବଂ ଲାଭ-ଫଳାଙ୍କାର ମୃତ୍ୟୁ | 14 |
| ପାତ୍ରାଙ୍କିର ମୃତ୍ୟୁ                  | 15 |
| ମହାନୀନୀର ମୃତ୍ୟୁ                     | —  |
| ଶାନ୍ତିରୁଗ୍ରହଣ ପରିବାର ମହାନୀର ମୃତ୍ୟୁ  | —  |
| ନ୍ରିତ୍ୟାନ୍ତରୁଗ୍ରହଣ                  | 16 |

# სამეურნეო ქურნალი

## მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ქურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა.—  
 1. ავტორის, ა. აფხაზ.ს, აგრძელობის, გ. ახლშემქინის, გ. ახლაქესი ლ. გოგინევისა, გ.  
 გულბაათიშვილისა, ღ. გორთაშვილისა, უ. დედაპირიშვილის, ელექტრისი, ზ. ერილაშვილისა,  
 პ. ზაალიშვილისა, ა. თამაშევისა, ე. იოსელანისა, ღ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ.  
 ლორთქიფნიძესი, ღ. მიგაზისა, ს. მგალობლიშვილისა. მ. მარალაშვილისა, ნ. მაგარა-  
 შვილისა, კ. მელქიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცინშვილისა, ც. ც., ც. პა-  
 ტაშვილისა, გ. რცხილაძესი, მ. სემიოთვისა, პროფ. ა. ფორფუნაცოგისა, გ. უ—ელისა,  
 ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხარაჯაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ქორ-  
 ქვესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქტორი მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადება.

რედაქტორისათვან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომ-  
 პეტენცია რედაქტორის სავალდებულოთა აქც თავისთვის მიღებული იქ იმედით, რომ  
 გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობსა და სიმშეღებების მისცემს შრომაში ყველა  
 იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეეძლიანთ რედაქტორისათვან პირისპირ  
 შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მისცემს ქარ-  
 თულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხსანობით მოწვევულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯუშვი-  
 ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,  
 ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი უ., დამბაშიძე ვ.,  
 ალაძე ი., გულისაშვილი მ.

### თანამშრომლობის საზრულოობის და შემთხვევა

ქურნალის შემთხვევლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-  
 ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დამურიგდებათ თანამშრომლებს პროცე-  
 ცულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორი შესატოროს და შეა-  
 მოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-  
 ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მეითხველებს ყოველ გვარი  
 შეამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო  
 ნაწარმოების შეძენას აღმართობისათვის.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩეკულებრივი სტრი-  
 ქნი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს თარი შაური.

წლიურ აბონენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისათვან შეთანხმებით.  
 განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩქერად დაეგზავნებათ რეკული თე-  
 ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცნარეთა საუკთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქტორის, ქურნალის ხელისმომწერლებს გაუგ-  
 ზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

### შურნალი დამისადგილი დის ვ მანეთი.

რედაქტორის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ვისაც უურნალის წლიური ფასი სრულად არ აქვთ შემოტანილი შემოიტანონ, რომ უურნალის შემდეგი ნომრები თავის დროზე გაეგზავნოთ.

## გზა უტყუარი, გზა მართალი

მართალია კუჭ-გამაძლარი განცხრო-  
ბასა და მცონარეობას ეჩვევა ხშირად,  
მაგრამ ეს ისეთ დანაგალავებულ შიმ-  
შილისაგან ხალხს, როგორიც ჩვენი  
ხალხია, როდი შეეხება. პირიქით ჩვენ  
საფრთხე მეორე მხრიდან მოვალის — არ  
წავერთვას უკანასკნელი სახსარი ცხოვ-  
რებისა და სრულიად ცარიელზე არ  
დავრჩეთ.

ვინ ამბობს, ყოველ სწორე მისწრა-  
ფებას შედეგად ეკინომიური აღორძი-  
ნებაც მოსდევს ბოლოს, მაგრამ ეღირ-  
სება თუ არ ხალხი ამ ბოლომდე მის-  
ვლის, ის სკითხი რაშია.

ბევრის მომდომემ ცოტაც დაკარ-  
გაო — ტყუილად კი არ არის ნათქვა-  
მი. დიდი შეცდომა იქნება დღეს ჩვენ-  
თვის რომ ხვალის ფიქრში აწინდელი  
ჩვენი მდგომარეობა სრულიად მივი-  
ვიწყოთ.

დღევანდელი ჩვენი თავი-და-თავი  
საფიქრებელი კი დღეის საკმარისი ლუკ-  
მის შოვნაა, რაც ხალხმა უნდა ისევ  
ძველად ჩვევეულ მეურნეობაში კვი-  
ვოს მისი გაძლიერებითა და გაუმჯო-  
ბესობით.

ამითი იმას არ ვამბობთ, რომ რაკი  
ჩვენ დღეის საზრდოც უზრუნველ ყო-  
ფილი არა გვაქვს, ამიტომ მხოლოდ  
მიწის ხვნა-ბარვას და ძროხის მოვლა-  
მოშენებას უნდა შეველივნეთ, დრო-  
ებით მაინც გვერდზე გადავდოთ ზრუნ-  
ვა ჩვენი შვილების სწავლა-განათლე-

ბაზე და ყველა სხვა საზოგადო საქ-  
მეცნიერებები, არა. ჩვენ გვინდა ესთქვათ რომ  
უსწავლელსაც ჭამა უნდა და სასმელ-  
საჭმელი უნდა ჰქონდეს, რომ ისწავ-  
ლოს. ამიტომ ნაწავლი ხარ თუ უს-  
წავლელი, აუცილებლად უნდა ითქი-  
რო იმაზე, როგორ დაიმკვიდრო დღე-  
ვანდელ პირობებში იმდენი სახსარი  
ცხოვრებისა რამდენის დამკვიდრებაც  
შეიძლება.

აი, თუ ასეთ ვიწრო ფარგალში ვა-  
ვაკეთებთ ჩვენს არჩევანს, ის გზა, რო-  
მელიაც დასცდომია ახლად დაარსებუ-  
ლი მეცხვარეთა და სხვა მესაქონლეთა  
ამხანაგობა, უნდა ჩაითვალოს ერთ იმ  
უტყუარ და მართალ გზად, რომელმაც  
დიდი შესამატი შეიძლება მისცეს ჩვენს  
ეკინომიურს განვითარებას.

ამიტომ სრულ კეშმარიტებათ მი-  
გვაჩნია ყველა ის, რასაც საზოგადო-  
ების გამგეობა გამოსთვამს მეცხვარე-  
თა და მესაქონლეთა საყურადღებოთ  
შემდეგ მიმართვაში:

„როი ცხენი ერთად უფრო მეტ სა-  
პანეს დასძრავს, ვიდრე თითოეული მა-  
თგანი ცალკე. თუ ცხენები ჯანდაგები  
არიან შეიძლება ცალ-ცალკე თავიანთ  
საკმარის თივისაც კი ვერ მოერიგნენ.

აი ეს უბრალო ყველასათვის ადვი-  
ლი მისახვედრი კეშმარიტება შეადგენს  
საფუძველს ყოველგვარ ამხანაგობისას,  
კავშირისას, სინდიკატისას და სხვა.

კეშმარიტება იგი გამოიყენეს სავსე-  
ბით ამტრიკელმა მილიონერებმა, რო-  
მელთაც „ტრესტების“ (კავშირი) შე-  
დგენით თავიანთი თავი მილიარდერ-  
ბათ გარდა ქციეს. იგივე კეშმარიტე-  
ბით ისარგებლეს ბაქოელმა შენავთევ-  
ბმა, რომელთაც მენავთეთა კავშირი  
დაწესეს; რუსეთის შაქრის ქარხნების  
პატრონებმა და სხვა.

ამ გზას დაადგა იტალია, რომელმაც  
თავისი ქვეშემრდომნიუკიდურეს სიღა-  
რიბიდან გამოიყვანა და მატერიალუ-  
რად გაძლინივრა.

ამ უბრალო კეშმარიტებაზეა დამყა-  
რებული დღეს მთელ მსოფლიოზე სა-  
ხელვანთქმული გერმანიის სასოფლო-  
სამეურნეო კოოპერაციების დიდება და  
სხვა.

კოოპერაცია ანუ გაამხანაგება, ერთი  
ერთმანეთის ზურგის მიცემა ერთად  
ერთი გზაა. დღეს წარმატებისა მეტი  
ძალ-ლონის მოსაპოებლად. ამ გზას  
ადგა ყოველი შეგნებული, რათა ღო-  
ნიერმა უფრო მეტი ძლევა-მოსილობა  
შეიძინოს და უღონომ, დაჩაგრულმა  
არსებობისათვის ბრძოლაში თავი გა-  
დაარჩინოს და არ დაიოჩინოს.

აი ამიტომ, ვისაც სწორედ აქვს  
წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის აწინ-  
დელი მდგომარეობა, ის ადვილად და-  
გვეთანხმება რომ მხოლოდ ერთიერთ-  
მანეთთან შეკავშირება ამიერ კავკასიის  
მწარმოებლებისა, კოოპერაციების და-  
წასება მათ შორის დაიხსნის ჩვენ შერო-  
მელ ხალხს უკადურეს სისაწყლისაგან  
და საბოლოო განადგურებისაგან.

არც ერთ რიგ მწარმოებლებს ცხო-  
ვრების სახსარი არ აქვთ დღეს ჩვენში  
უზრუნველყოფილი. უძლურნი ცალკ-  
ცალკე ეს მწარმოებელნი ვიდრე არ

შეუერთდებიან ერთმანეთს და შეერ-  
თებული ძალით არ გამოვლენ მსოფ-  
ლიო ასპარეზზე საბრძოლველად, ვი-  
დრემდისინ არამც თუ ვერ გათამამდე-  
ბიან სიმძლავრით, არამედ უბრალო  
ყოფნასაც კა ვერ დაიმკვიდრებენ ამ  
ქვეყნად.

ჩვენც, ოთხფეხი საქონლის პატრო-  
ნებს, ღრმათა გვწამს რომ ყველა სა-  
მეურნეო დარგის მეურნეებს მხოლოდ  
ერთი ერთმანეთთან გაამხანაგება შე-  
გვაძლებინებს ეკონომიურ წარმატებას  
მომავალში და ამ ჩვენმა რწმენამ იძუ-  
ლებულ გვყო შეგვედგინა ამხანაგობა  
მათ შორის, ვინც ამიერ კავკასიაში  
უენო საქონლის გაშენებას მისდევს და  
უფრო ამითა ცხოვრობს.

ცხადია, ესეთი შეკავშირება ესაკი-  
როება არა მარტო ცხვრისა და ძრო-  
ნის პატრონებს, არამედ სამეურნეო  
ცალკე დარგების ყველა წარმომადგენ-  
ლებს და იმედიცა რომ ახლო მომა-  
ვალში ყველა დარგის მეურნეებთა შო-  
რის გამოჩედებიან ისეთი პირნი, რო-  
მელნიც აგრეთვე ღრმა რწმენით გამ-  
ჭვალულნი შეუერთდებიან ერთმანეთს  
და შექმნიან მოთხოვნილების დაკვა-  
ლად სხვადასხვა კოოპერაციებს. ხოლო  
ჩვენ კი დღეს, როგორც ცხვრისა და  
სხვა ოთხფეხი საქონლის შემნახველ-  
მოშენებელნი, მიმართავთ ყველა იმათ  
ვინც ჩვენთან ერთად არის ამ საქმეში  
დაინტერესებული და ვთხოვთ გამოგვი-  
წოდონ საამხანაგოთ ხელი, შემოგვიე-  
რთდნენ, რომ ყველამ ერთად შეერთე-  
ბული ძალ-ლონით თითოეული ჩვენ-  
თაგანის მდგომარეობა გავაუმჯობესოთ.

იმისი დაწვრილებით ჩამოთვლა თუ  
რა სარგებლობა შეუძლიან მოუტა-  
ნოს ოთხფეხი საქონლის პატრონებს

ასეთმა ჩვენმა ამხანაგობაშ აქ ზედმე-  
ტად მიგვაჩინია.

აღვილი შესრულება შეერთებული  
ძალით იმისი რაც ძნელი და ზოგჯერ  
სრულიად შეუძლებელი არის ყოველი  
ჩვენთაგანისათვის სათითაოთ, როგორც  
მაგალითად: გაცნობა და პირდაპირ  
დაკავშირება მსოფლიო ბაზრებთ, რაუ-  
სეთში და სამზღვარგარეთ; თავთავის  
დროზე ფასების გაფეხა ამ ბაზრებზე  
როგორც მატყლისა ისე სხვა ნა-  
წარმოებისა; იაფად სესხის შოვნა  
იმოდენა თანხისა, რამოდენითაც თი-  
თოველი ჩვენთაგანი ვერსად ვერ გა-  
იმართებოდა... ამაზე სხვა მეტიც რომ  
აღარა ვსთქვათ რა, ესეც საკმარისად გა-  
გვიმაგრებს წელს და დაგვიხსნის იმ  
ცარცვა-გლეჯიდან, რომელშიაც ყო-  
ველი ჩვენთაგანი დღეს თავითფეხამდევა  
გათანგული მევახშე-ჩასჩებისაგან, მე-  
ტადრე მატყლით ვაჭრობას საჭმეში.

ეს გაბმული ქსელი, რომლითაც სოფ-  
ლის მწარმოებელი შეკრულ შებოჭი-  
ლია ჩარჩებისაგან წინა დღით ბეის და-  
რიგებით და ფასის გამოურკვევლობით  
იმ დრომდე, ვიდრე მათგანვე ოსტატუ-  
რად შეთხრული „მაზანდა“ დაიდება,  
ჯერ კიდევ დიდხანს გასძლებს ხალხის  
საჭიროობოტო, თუ კოოპერაციების  
შემოღებამ მწარმოებელთა შორის კი-  
დევ დიდხანს დაიგვიანა.

მაშ, მოდით, ვისაც ცს გარემოება  
კარგად გვესმის, ნუ დავიშურებთ ჩვენ-  
ჩვენ შრომას და შეძლებისადაგვარად  
ხელი შეუწყოთ ისეთ საზოგადოებების  
დაფუძნებას ჩვენში, რომელთაც მიზ-  
ნად მწარმოებლისა და მომხმარებლის  
ერთმანეთთან დახხლოება აქვთ გან-  
ზრისული, რათა ის მოგება, რაც ამ  
დაახლოებით წარმოსდგება, მათვე გა-

უნაწილდეთ და მოელი ხროვა ოფლის  
მწოვარი შეუძლებისა ჩამოშორდეთ.

თახფეხი საქონლის პატრონებმა  
ამიერ კავკასიაში უკვე მივიღეთ სამი-  
ნისტროსაგან დამტკიცებული წესდება,  
რომლის პირველი მუხლი იმბობს: „სა-  
ზოგადოებას აქვს მიზნად ხელი შეეწ-  
ყოს ცხვრისა და სხვა საქონლის პატ-  
რონებს პირიან ფასებში გაასაღონ თა-  
ვიანთი საქონლის ნაწარმოები, რის-  
თვისაც საზოგადოება იგი: ა) ამ ნა-  
წარმოებებს მიიღებს გასაყიდად საზო-  
გადოების საწყობებში, ბ) მიღებულ  
ნაწარმოებში მისცემს პატრონებს ავან-  
სებს; გ) თუ საჭირო იქნება ამ ნაწარ-  
მოებს დააგირავებს ბანკებში; დ) მოა-  
წესრიგებს საზოგადოების სახელით ვა-  
კრობას იმ ნაწარმოებით რაც საწყო-  
ბებში იქნება შემოტანილი; ე) დარი  
გებასა და ყველაგვარ დახმარებას მის-  
ცემს საზოგადოების წევრებს ცხვრისა  
და სხვა საქონლის მოვლა-მოშენებაში,  
აღძრავს სადაც ჯერ არს შეამდგომ-  
ლობას სანიტარულ ზომების, საქონ-  
ლის გასატარებლად გზების დადების,  
საძოვრების სამართლიანად განაწილე-  
ბის და სხვა სავალზებული დადგენი-  
ლებების შესახებ.

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოე-  
ბის უფლება ეძლევა (§ 5) თანახმად  
არსებული სავალდებულო დადგენილე-  
ბებისა და ნებაღართულობისა გახსნას  
როგორც რუსეთში ისე სამზღვარგარედ  
კანტორები, საწყობები, მაღაზიები მი-  
ღებულ ნაწარმოებების გასასაღებლად,  
საზოგადოების წევრებისათვის საჭირო  
საქონლის შესაძენად და სხვა გვარი  
დავალებების ასასრულებლად.

საზოგადოების წევრებად მიიღებიან  
(§ 14) ორივე სქესის პირნი განურჩე-



ვლად მათი წოდებისა და შეძლებისა ოლონც კი სრული წლოვანნი იყვნენ და ჰქონდეთ საკუთრება და მისი გამ-გებლობის სრული უფლება, ჰყანდეთ ცხვარი ან სხვა საქონელი, ან სხვა რომელიმე მეურნეობის დარგს აწარ-მოებდნენ. რიცხვი წევრებისა განუსა-ზღვრელია.

ვისაც ცხვარი სრულიად არა ჰყავს (§ 23), საზოგადოების წევრად ჩაწერა იმ პირობით შეუძლიან თუ 100 მან. ფულს შემოიტანს საწევროდ, ხოლო ცხვრის პატრონები კი საწევრო შემო-სატანს ასე გარდაიხდიან:

ვისაც 100 სული ან ნაკლები ცხვარი ჰყავს შემოიტანს 5 მანათს

|       |              |   |     |   |
|-------|--------------|---|-----|---|
| ვისაც | 100—300-მდე  | " | 15  | " |
| "     | 300—600      | " | 30  | " |
| "     | 600—1000     | " | 50  | " |
| "     | 1000—1500    | " | 75  | " |
| "     | 1500—2000    | " | 100 | " |
| "     | 2000—3000    | " | 150 | " |
| "     | 3000—4000    | " | 200 | " |
| "     | 4000—5000    | " | 250 | " |
| "     | 5000—7500    | " | 375 | " |
| "     | 7500 ზე მეტი | " | 500 | " |

საწევრო გარდასახადი ფულადაც შეიძლება შემოიტანოს წევრმა და მა-ტყლითაც. ამ მეორე შემთხვევაში მა-ტყლი უნდა გამგეობამ დააფასოს თა-ნახმად წესდების მეორე მუხლისა. საზოგადოების ყველა წევრს (§ 24), რომელსაც საწევრო გარდასახადი ფუ-ლად ან მატყლით 5—100 მანეთამდე აქვს შემოტანილი, საზოგადო კრება-ზე ერთი ხმა აქვს; 100—250 მანე-თამდე შემომტანს —ორი ხმა და ვინც 250 მანეთზე მეტს შემოიტანს საწევ-როდ —ხამი ხმა.

ყოველი წევრი საზოგადოებისა მო-

ვალეა (§ 15) მთელი თავისი მატყლი რასაც წლის განმავლობაში მიიღებს, საზოგადოებას გარდასცეს გასაყიდად. გამგეობა მატყლს შინჯავს მიღების დროს და რომელსაც არ მოიწონებს, არც მიიღებს.

საზოგადოების საწყობებში მისაღე-ბი ნაწარმოები უნდა (§ 2) დაფასე-ბული იქმნას დამფასებლისაგან, რო-მილსაც თვით გამგეობა დანიშნავს. დაფასება ხდება თანახმად გამგეობისა-გან შეღვენილი და საზოგადო კრების მიერ მოწონებული და დამტკიცებუ-ლი ინსტრუქციისა. საზოგადოების სა-წყობებიდან საქონელი გადის ბაზარ-ში და იყიდება საზოგადოების სახე-ლით.

საზოგადოების ყველა საქმეებს გა-ნაგებს წევრთა საზოგადო კრება, სა-ზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია.

საზოგადოების ყველა წევრს უფ-ლება აქვს (§ 20) დაესწროს წევრ-თა საზოგადო კრებას და მიიღოს მო-ნაწილეობა კითხვების გარდაწყვეტაში პირადად, ან თავისი რწმუნებული გა-გზავნოს.

საზოგადო კრებას (§ 3) შეუძლიან წევრებისაგან მიღებულ საქონელში საქონლის პატრონებს მისცეს წინათ-ვე ფასის რაოდენიმე ნაწილი (ავანსი), ხოლო არა უმეტეს იმისა, რამდენსაც საზოგადო კრება დაადგენს.

საზოგადოების წევრს ეძლევა (§ 16) თითო ცალი საზოგადოების წესდები-სა და თითო პატარა დავთარი, რო-მელშიაც ჩაწერება რამდენი აქვს მას შემოტანილი ფულად ან მატყლით სა-წევრო და გრედვე ყოველი სხვა მი-სი ანგარიში საზოგადოებასთან.

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურ-  
ველთ შეუძლიან მიმართონ საზოგა-  
დოების გამგეობას, რომელიც იმყო-

ფება ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზე,  
თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ვ. რცხილაძე

## საქართველოს სანერგე და გურია-სამეგრელო

საყურადღებოა ბ. ჩივაძის წერილი, რომელიც ქვემოდ იბეჭდება ნამყენი ვაზებით ვაჭრობის შესახებ და რომელიც ნათელ ყოფს იმ გარემოებას, რომ ხალხი სათანადო დაწვესებულების მიერ არის მიტოვებული და ვისაც რა უნდა იმას აჩეჩებს მას ხელში. ძნელი წარმოსალგენია მემამულის ზარალი, როდესაც მას ნაკლები ხარისხის ნამყენს აწოდებენ — შრომა და ხარჯი რომ არ ვიანგარიშოთ, ისიც საკმარისია რომ ვენახი ძლიერ ღონისძიებებს, მოსავალს არ იძლევა, მაგრამ პატრიონი ნახარებ ვაზს მოსაჭრელათ ვერ იმეტებს და თავის ზარალს გარდა სხვასაც უცრუებს გულს.

ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სამეგრელოსათვის. აქ ეხლა ამერიკული ვაზი ვრცელდება და მცოდნე ამ ვაზის მოვლისა კი ცოტაა. თუ ამ გარემოებას ისიც დაერთო, რომ დაბალი ხარისხის ნამყენს გაავრცელებენ, მაშინ მევენახეობის აღორძინების საქმე წინდაწინვე უნდა გამოვიტოროთ.

ამით ხელ-მძღვანელობდა შარშან-დელი ქუთათური კრება მეურნეებისა, რომელმაც გამოსთვა, რომ საქართველოს სანერგე მთავრობის სამოქმედო ასარეზად სამეგრელო უნდა გაიხადოს. აქ საჭიროა ეხლა ხალხის ხელმძღვანელობა და საქართველოს სანერგეს დღევანდელი მოღვაწენიკი ყურსაც რა იჩერ-ტყავენ. არა თუ გურია-სამეგრელოში არ გადააქვთ თავისი მოქმედება, არა-მედ იმდენს სიკეთესაც კი ვერ სხიდიან რომ კარგი ხარისხის ნამყენი წავიდეს იქითვენ.

შორაპნისა და ქუთაისის მაზრებს ამ უამაღ საქართველოს სანერგეს ხელმძღვანელობა არ ეჭირვება — ხალხი იმდენად დახელოვნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვით სანერგის ხელ-მძღვანელებს გაუწევს მასწავლებლობას. მაშ, რას მისჩერებიან საქართველოს სანერგეს შენბაბასა და მის არე-მარეს?! შეუდგნენ მოქმედებას და საშველი ხელი იქ გაუწიდონ, საცა ამას საჭიროებენ.

პ. ყიფიანი

## ნამყენი ვაზით ვაჭრობა 1910 წლის გაზაფხულზე

ისეთი დიდი მოთხოვნილება ამერიკული ვაზისა და აგრეთვე ნამყენებისა როგორც 1909—1910 წ. ჯერ არ ყოფილა. ყველა მოთხოვნელი ვერ დაკმაყოფილდა და ბევრს დარჩა გადაბრუნებული მიწა დაურგავი. კარგი ნამყენი შემოდგომას 4—5 მანეთად იყიდებო-

და ასი; გაზაფხულზე-კი, როდესაც გამოირკვა რომ დიდი მოთხოვნილებაა, ფასში შესავჩნევათ აიწიო, 7—8 მანეთამდის ავიდა. ამ გარემოებამ ისიც გამოიწვია რომ უხეირო ნამყენიც ბევრი გაიყიდა. ყველაზე მეტი ნამყენი სამეგრელოში საღდება და ყველაზე



უფრო ნაკლებთ სამეცნიელოა გამო-  
კვლეული როგორც ნიადაგის შხრით  
ისე იმით თუ რომელი ჯიში ამე-  
რიკული ვაზია აქ უფრო გასავრცელე-  
ბელი. მა გარემოებას შეიძლება ცუ-  
ლი შედეგი მოყვეს და დიდი ზარალი  
მოუტანოს მკონვრებლებს. არ შეიძლება  
არ მიექცეს ყურადღება იმასაც რანაირი  
ნამყენი საღდება. ნამყენი ვაზების მოვ-  
ლა მოშენება საზოგადოდ იმათ უფრო  
აქვთ შეკრისებული დღეს, ვინც საქარის  
სანერგეს აკრავს გვერდით, როგორც  
მაგალითად შორაპნის და ქუთაისის  
მაზრები, და რამდენათაც ამ მაზრებს  
დასკილდებით, იმდენათ უფრო იშვი-  
ათად შეხვდებით ამ საქმის მცოდნე პი-  
რებს. ამიტომაც ამ ორ მაზრაზეა მხო-  
ლოდ დამოკიდებული ჯერ-ჯერჯე-  
რობით ჩვენი მევენახეობის სვე-ბედი.  
ეს კიდევ არაფერი. ხშირად სანერ-  
გეს პატრონი უბრალო მუშა-კაცია,  
რომელიც მხოლოდ მგლური ინსტიკ-  
ტით არის გამსჭვალული და არ დაგი-  
დევს არაფერს, ოღონდ-კი ნამყენი რაც  
შეიძლება ძვირათ გაასალოს და სხვის  
დარღი იმას არა აქვს.

ამათზე უფრო საშიშნი არიან ეგრეს-  
წოდებული „ფოდრადებიკები“, რომ-  
ლებიც ყიდულობენ და ყიდიან ნამყენ  
ვაზებს, ხოლო თავიანთი სანერგე-კი  
არა აქვთ. ეს ვაჟაბატონები დაღიან  
კარისკარ და იგროვებენ უხეირო ნამ-  
ყენს (ბრაქს), რომელიც უნდა დაწვა-  
რიყო და კი არ დარგულიყო. ყი-  
დულობენ ამგვარ ნამყენს ადგილობრივ  
80 კ. 2 მ. და 8—10 მანეთად ყიდიან  
ასს. ისიც იმ პირობით რომ მიწის პატ-  
რონმა ნახევარი ფასი დარგული ნამყე-  
ნებისა დარგვისთანავე უნდა მისცეს და  
მეორე ნახევარი კი წლის ბოლოს, ხო-

ლო თუ გახმება უნდა ხელიხლად  
დაურგოს. საქმის გაუცნობელს ესეთი  
პირობა ხელსაყრელი ეგონება მიწის  
პატრონისოვეს, მაგრამ შეცდება. საქ-  
მე იმაშია რომ „ბრაქ“ ნამყენს შეუ-  
ძოიან რასაკირველია იხარის, რად-  
გან ასე თუ ისე მიხორცებულია ცო-  
ტათი მაინც ამერიკულზე, ხოლო შემ-  
დევში კი დარგული ვაზების მეოთხე-  
დიც ვერა თამაზდება და ლანდალებს  
რამდენიმე წელიწადს, არც ნაყოფს იძ-  
ლევა და არც მთლიათ ხმება და ხა-  
ლისს უკარგავს მამულის პატრონსაც  
და იმის მნახველსაც.

აუცილებლათ საჭიროა რომ ზომე-  
ბი იყოს მიღებული ჯერ ერთი ამ ვაჟ-  
ბატონების წინააღმდეგ, რომლებიც  
„ბრაქ“ ნამყენით ვაჭრობენ და მეორე  
რომ ხალხში ცოტა მეტი ცოდნა გავრ-  
ცელდეს.

ერთერთი საშუალება ამ ფოდრია-  
დებიკების ასალაგმავი ჩემის აზრით ნამ-  
ყენი ვაზით ვაჭრობის სხვანაირად მოწ-  
ყობა უნდა იყოს. ბევრად უკეთესი  
იქნება, რომ ნამყენების მსურველ-  
ნი თვითოულათ კი არ დაეცებდნენ  
მასალას, არამედ ამა თუ იმ საზოგა-  
დოებას ყვანდეს ამორჩეული რამო-  
დენიმე პირი, რომლებიც უფრო გაც-  
ნობილნი იქნებიან ნამყენის ავკარ-  
გიანობას, და ამათი საშუალებით გამოი-  
წერონ ხოლმე: რაც შეეხება ვაზის  
დარგვასა და შემდევ დარგულის მოვლას  
ამისათვის კი საჭირონი იქნებიან უეჭვე-  
ლათ მცოდნე ხელმძღვანელნი ანუ ინს-  
ტრუკტორები.

საზოგადოთ უნდა ვესოთქვათ, რომ  
ასეთ დიდ მნიშვნელოვან საგანს რო-  
გორიც არის მევენახეობა ძრიელ მცი-  
რედი ყურადღება აქვს მიქცეული და

სრულებით თავ-მინებებულია ისეთი დაწესებულებისგანაც კი, როგორიც არის მაგალითად საქარის სანერგე, რომლის პირდაპირი დანიშნულება ამ საქმის წინ გაძლილია. ტყუილათ ფიქრობენ ბ გორაევი და სხვები რომ აქ ვენახების გაშენება მკვიდრ ნიადაგზეა დაყინებული. მათ უნდა იცოდნენ რომ უმთავრესი მუშაობა მხოლოდ ეხლა იწყობა. რამდენად დიდია დღეს ნამყენის მოთხოვნილება ეს იქიდგან სჩანს რომ ადგილობრივ მომზადებულ მა მასალამ არ იქმარა და ბევრი სამზღვარვარეთიდანაც იყო გამოწერილი და გაყიდული. გარდა ამისა, გაიყიდა აგრეთვე მთლათ რიპარიაც, რომელიც მეტწილად ყოველ წლივ გასასყიდი რჩებოდა. აგრეთვე ბევრი გაიყიდა წელს წვრილი ლერწიც გასამრავლებლად, რაც იმის ნიშანია რომ ხალხს მოეწყინა ერთის მხრით გომეოპატიური დოზებით მიღე-

ბა ლერწისა საქარის სანერგედან და მეორეს მხრით კიდე 15—20 მანეთის გაღება კერძო პირებზე თითო 1000 ლერწში.

დადმა მოთხოვნილებამ გამოიწვია აგრეთვე გახშირებული ქურდობა ნამ. ყენებისა და ეს კი ასეთი სენია რომ უნდა უეჭველად განსაკუთრებული ზომები იყოს მიღებული, როგორადაც არა-ჩვეულობრივ ქურდობის წინააღმ. დეგ, რადგან ერთი და ორი წლის ჩაურილ ვაზების ამოთხრა პირდაპირ გაღატავების გზაზე იყენებს მშრომელ გლეხ კაცს.

თუ დროზე არ იქნა მიქცეული ყურადღება, ხალხი მოთმინებას და კარგადეს და მგონი ჩვენშიაც შემოიღებენ იმნაირ გასამართლებას, როგორსაც რუსის გლებეკაცები ხშარობენ ცხენიპარების წინააღმდეგ.

გ. ჩიგაძე

## ღვინის ზიანი და ავადმყოფობანი

ღვინო, ღულილს რომ დაამთავრებს გაღაილება პირველად, როგორც ვიცით, და მეორე ხანაში ვადადის. ეს არის ხანა ღვინის გაკეთებისა და დამწიფებისა. ცველა ღვინო ერთ დროს არა მწიფდება. ზოგი იდრე დაისრულებს დადუღებას და გაკეთება შეეტყობით ხოლმე და ზოგი კი გვიან. ამ დროს ღვინო ძალიან ნაზია და ფრთხილად უნდა მოქცევა. ღვინო ამ დროს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ხშირად ზიანდება. ღვინის ავადმყოფობა, თუმცა საესებით არა, მაგრამ მაინც ასე თუ ისე გამოკვლეულია. მინამ ღვინის სენის გამოკვლევას და აღწერას შეუდებით უნდა კარგათ ვიცოდეთ, რომ

დაავადებული ღვინო ძნელათ-ლა მობრუნდება. ჩვენი პირველი ცდა უნდა იყოს, რომ ღვინო არ დაზიანდეს. სენის ზედგავლენა ღვინოზედ იმაშიც გამოიხატება, რომ ღვინის სხვადასხვა ნაწილები იშლება და მათ მაგიერ ნორმალურ ღვინისათვის არა ჩვეულებრივი ნივთიერებანი წარმოსდგებუნ. ამიტომაც არის რომ ღვინოს გემო ცვლება და ამბობენ: „ღვინო თავის გემოზედ აღარ არისო“. აქედან ცხადია რომ ისევ თავის გემოზედ ღვინის დაყენება შეუძლებელია თუ რა ნივთიერებანც დააკლდა არ მივუმატეთ და ახლად გაჩენილი კიდე არ გავაცალეთ ან ეს უცხო ნივთიერებანი არ გარდაიქმნენ



ნორმალურ ლვინის შემაღენელ ნივთიერებებათ. ეს საქმე ძალიან რთულია და ცოტათ თუ ბევრათ მხოლოდ მეცნიერება ქიმიის შემწეობით შეიძლება უშველოს კაცმა. ამ მიხეზოთ შექმნა საფრანგეთის მეღვინეთა წყალობით სხვადასხვა რეცეპტები, რომელთ საშუალებით გადაბრუნებულ, დაძმობებულ ლვინიებს გარდა კეთებენ ხოლმე სხვადასხვა საბაზრო ტაბის ღვინოთ. ხოლო ამ ბოლო ღრუს სამეცნიერო ტეხნიკა მეღვინეობისა სხვა ნიაღვზეა დამდგარი. რეცეპტურა მან უკუაღლო და შექმნა ეგრედწოდებული სუფთა მეღვინეობა, რითაც დიდი უფსკრული გაკეთდა ნორმალურ ლვინისა და ფალსიფიკის შორის და აშორდა ლვინის დამყენებელს სამარცვინო სახელი ფალსიფიკატორისა. უკანასკნელი შკოლა სუფთა მეღვინეობისა იმას ქადაგებს, რომ მეღვინემ უნდა აღილობრივ ბუნების პირობების დაკვალიდ ბუნებრივი მასალით ისარებლოს და ისე გააკეთოს უმაღლესი ხარისხის ლვინო და მერე შეინახოს ეს ლვინო ისე რომ არამც თუ არ გაფუჭდეს, არ დაავადდეს საზოგადოდ, პირიქით გაკეთდეს კიდევაც. დაზიანებას საზოგადოდ ალაგი არ უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ მოხდა რომ ლვინო დაავადდა, უნდა ისე ეწამლოს, რომ არავითარი უცხო ნივთიერება არ გაერთოს ლვინოში და თუ გაერთია რამე, მაშინვე ლექათ წავიდეს. ლვინის ზიანი და ივადმყოფობა ერთი და იგივე არ არის. ლვინის სენი ანუ ივადმყოფობა წარმოსდგება ბაქტერიიების ზედგავლენით ლვინოზე. ლვინის ზიანს კი ვეტეკით მაგ. როცა ლვინოს, კლერტის, მიწის, თხლე-ჭაჭის გემო აქვს, აგრეთვე როცა როცა წითელი ლვინო გაკრეპი-

ლია და სხვა. ერთი სიტყვით ლვინის ავადმყოფობანი შემდეგია: ლვინის პრკე, ლვინის დაძმარება, ლვინის გადაბრუნება, ლვინის გასუქება და სხვა.

### I ლვინის დაჯმარება

მინამ ლვინო დაღულებაშია ამ ავადმყოფობის შიშითითქმის არ უნდა გვქონდეს. მერმე კი, ე. ი. მეორე წელიწადს ლვინო ღირს გაფრთხოებას თხოულობს მოვლაში. დაძმარებება უფრო თხელი ლვინო, რომელსაც სპირტი ნაკლები აქვს. ამბობენ რომ ლვინო, რომელსაც მოღებული აქვს პრკე უფრო აღვილად დასწეულდებათ ამ სენით. ეს ასეც უნდა იყოს, რაღაც პრკე შლის სპირტს და მაშისადამე ათხელებს ლვინის. უპირველესი პირობა კი ამ სენის გაძლიერებისა პაერის ზედმოქმედებაა ლვინოზე, მეტალრე თუ თავიდანვე ლვინოში ძმრის სოკო არსებობს, რაც ხდება მაგალითად მაშინ როცა დუღილის ღრუს დაძმარებულ ქუდს დაურევთ ჰვერტში. სოკო (*Mycoderma aceti*), რომელიც მოქმედობს ამ შემთხვევაში, ეკუთვნის ერთ უჯრედიან ორგანიზმოს. ეს უჯრედი ბუშტის მაგვარია, შუაზედ შევიწროვებული. ზედ ამ სივიწროეზედ უჯრედი იყოფა ორად და ასე მრავლდება. გამრავლება იგი ხდება დიდის სიმარტით. ძმრის დედას გავლენა აქვს ლვინის სპირტზე. იგი გარდაქმნის მას ძმრათ და წყლათ —  $(C_2H_5O + O_2 = C_2 H_4 O_2 + H_2O)$  ან კიდევ ალღეგიდათ და წყლათ ( $C_2 H_6 O + O = C_2 H_4 O + H_2O$ ) ეს უკანასკნელი მერმე მევგბადის ზედგავლენით გარდაიქმნება ისევ ძმრის სიმუვეთ სანამ კი ცუდ მწვავე სუნს აძლევს ლვინოს. ძმრის გაცლა ლვინიდან სრულიად შეუ-

დლებელია. ხოლო მის გასანელებლად  
კი სხვადასხვა **ტურა** იხმარება, მაგრამ  
მიზანს ვერ ახწევენ ამით, რადგან ნელ-  
დება არა მარტო ძმის სიმჟავე, არა-  
მედ სხვა ღვინის სიმჟავეებიც, ურომ-  
ლისოდაც ღვინო არ ვარგა და ამას-  
თან თვით ეს მასალა აძლევს ღვინოს  
ძალიან ცუდ გემოს და ბევრჯელ ღვი-  
ნოც შავლება.

თეორიულად ძმარი შესაძლებელია  
გასცალდეს ღვინოს ეგრედ წოდებული  
დიალიზით.

ძმარი უფრო ჩქარი გადის მცენა-  
რის ქსოვილში (Раствительная ткань)  
ვიდრე ღვინის სხვა ნაწილები. ძმრის გა-  
მოხდა ისეც შეიძლება როგორც არაეს  
ჰედიან. მაგრამ პრაქტიკაში ამ საშუა-  
ლებებმა ვერ მოკიდეს ფეხი. სხენებულ  
სენისაგან ღვინო შეიძლება მოვარჩი-  
ნოთ, გავაზატოთ მხოლოდ ძმრის გე-  
მო კი შერჩება. გააზატებული ღვინო  
შეგვიძლიან მერე უშიშრათ გაურიოთ  
სხვა ღვინოებში და ისე გავასალოთ.  
ასეთი გააზატების საშუალება არის  
ღვინის გაცხელება (პასტერიზაცია), გრა-

გირდის დაბოლებით ძმრის დედის და-  
დუნება და ღვინის დასაწმენდ მასა-  
ლით (კვერცხის ცილა, წებო) მათი  
დალექვა. რადგან ეს საშუალებანი ყვე-  
ლა სენისთვის თითქმის ერთნაირნი  
არიან, ხოლო სხვადასხვა ზომით იხმა-  
რებიან, მაგალითად გოგირდს იღებენ  
სხვადასხვა ზომით, ტემპერატურას სხვა-  
დასხვანაირს და რადგან ყველა ეს  
მეღვინეობაში მიღებულია როგორც  
ღვინის შესანახი და გასაკეთებელი სა-  
შუალებანი, ამიტომ მათ ცალ-ცალკე  
ავწერავ.

დამმარებულ ღვინოს ბევრჯელ შვე-  
ლის მეორეთ აღულება ძლიერი დუ-  
ლიდედით. უნდა მიემატოს ცოტა  
შაქარი და თხლე-ჭაჭით ან უფრო კა-  
რგი სუფთა დულიდედით დაადულოთ.  
თუ კარგიდ დაიდულა, ე. ი. თუ დუ-  
ლილი გავაძლიერეთ (ამ პირობებში  
დულიდედა ძნელადა მრავლდება), ძმრის  
დედა სრულიად გაეცლება ღვინოს და  
იგი სენისაგან განიკურნება.

ဒု. မန္တဝါရီလက္ခဏလ္မ

## Առևուսականություն եմական

უკრაინა „მოსავლის“ მეშვიდე ნო-  
მერში მოთავსებული იყო წერილი,  
რომელშიც ავტორი სხვათა შორის  
კოტათი შექმნა პოლისულფიტის ხმა-  
რებას ვენახში და სთხოვდა ვისაც  
უშინჯნია ეს წამალი ეცნობებინათ იმის  
იყვარღიანობა.

და ცოტათი ბალშიაც. ვენახისთვის  
გავაკეთეთ თუ პროცენტიანი ხსნილი  
(ეს წამალი კარგათ იქსნება როგორც  
თბილს ისე ციფ წყალში) და სამჯერ  
შევასხურეთ სწორედ იმ ღრმას როდე-  
საც გოგირდს ვაყრით ვაზს.

მართალია, ეს წამალი, როგორც ვო-  
გირდი, კარგათ შველის ნაცრის წინააღმ-  
დებ; გაცილებით იაფათ ჯდება; მუშაობა  
მით უფრო ადვილია, ვიდრე გოგირდით;  
უნტა უნდება და ორც ისე აფეშებს თვა-

ლებს, როგორც გოგირდი, — მაგრამ ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს, როს გამო წელს ჩვენი ვენახი ამ წამლით აღარ შეგვისხურებია და ისევ კირი და გოგირდი შევაყარეთ ერთად როგორც წინათ ვაყრიდით. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ რაც გინდა კარგათ ასხუროთ ხსნილის წვეთები შეაში ყველგან ვერ მოხვდება ვახს და ამიტომ შემოდგომაზე გარედან ვახი თითქო საღია და შიგნით კი ფოთლები და მტევნები ნაცრიანი აქვს. გოგირდს ასე არ მოუვა, რადგან იმისი ბოლი ყველგან გაუვლის ხოლმე.

პოლისულფიტი ძალიან ყარს და აკუჭყიანებს ტანისამოსს მუშაობის დროს.

შარშან ბაღშიაც ვშინჯეთ: ცოტა-თი ატეპზე შევასხურეთ  $1/2\%$  ხსნილი, მაგრამ ძალიან მაგარი გამოდგა და დასწვა ფოთლები, თუმცა ავადმყოფობაც ამოაგდო რაც კი რამი იყო ატამზედ. შემდეგ ატეპს ისევ ახალი ფოთოლი ამოუვიდათ და აღარც ავადმყოფობა ჩანდა. სამაგიეროთ წელს

ძალიან ბევრ ხეებს შევასხურეთ ხოლო ხსნილი სხვანაირად გავაკეთეთ. 1 გირვანქა პილისულფიტი ავალეთ 12 ვედრო წყალზე ისე  $1/3\%$  უფრო ნაკლები და ველით რა შედეგი მოყვება.

როგორც ბ. იახევსკი ამბობს ეს წამალი ძალიან ბევრ სოკოთ-ავადმყოფობას შეველის. ატმის „ნაცარს“, რომელიც გახშირებულია კრიუონიკზე (*Sphaeroteca ponosa*); Hymnosporangium-ის წინააღმდეგ, რომელიც ძალიან გახშირებულია ყირიმში მარტო მსხალზე; ატმის ფოთლის დახუჭუჭების წინააღმდეგ, რასაც ყველგან ხშირად შეხვდებით და ბევრ კიდევ სხვა სოკოთ-ავადმყოფობას. ამ „სხვებისა“ არ ვრციდა ნაცარს ატამზე და რუსულ ყურძენზე (კრიუონიკზე) კი ძალიან შვალის. სხვებზედაც შემდეგ ვცდით და დავინახამთ.

რასაკვირველია ეს ჩემი დაკვირვება საკმარისი არ არის და კარგია იქნება თუ ჩვენშიაც სცდიან.

#### დ. გორთამაშვილი

## პარკის პარკის ფასი უცხოეთის გაზარზე

მსოფლიო ბაზარზე მარსელსა და მილანში იაბრეშუმის პარკის, ძაფის და სხვა ნაწარმოების ფასები დღემდე თითქმის შეუცვლელი რჩება (9 ფ. 15 სან. — 9 ფ. კ.)

მეაბრეშუმეობის ახალი კამპანიის დაწყებისა გამო ამ ფასებს უფრო დაკლების პირი უჩანს. იტალიელ მეპარკი ვაკრებს უკანასკნელ დღემდე იმედი პერნდათ ფასების მომატებისა და თავიანთ საქონელს არ იძლეოდნენ

არსებულ ფასებში (9 ფ. 50 სან.), რადგან მათ ნედლი პარკი იდგილობრივ (იტალიაში) ძვირად იყიდეს და გამხმარი დაახლოებით 11 ფრან კამდე ულირთ კილო. ეხლა ბევრი მათგანი იძულებული შეიქმნა 9 ფრ. 50 სანტ. გიგჰიდათ საუკეთესო ფინანსების პარკი და კილოზე ერთ-ნახევარი ფრან კი დაეკარგათ თავნიდან.

პარკის მომავალ მოსავალს თითქმის ყველგან კარგი პირი უჩანს. თუმცა

საფრანგეთში ცოტა შეაგვიანა სიცი-  
ვებმა კიის გამოყვანა, მაგრამ სამაგიე-  
როდ სხვა ქვეყნებში ყველგან კარგი

ამინდები იყო კიისათვის და ოსლიც  
ბლობად იღეს მეაბრეშუმეებმა.

### ი. ქუთათელაძე

## მასალა სამეცნიერო სიტუაციურ-კრებულის შესადგენი

### გალაზები

|                 |                            |
|-----------------|----------------------------|
| შროშანი (Лилия) | ფიორი (ხეზე იზრუ-<br>დება) |
| შავბალასა       | ფანჯ (Валеріанъ)           |
| შმაგა           | ფერა-ფერა ანუ ჭია-         |
| შრეში           | ფერა-ფერა ანუ ჭია-         |
| შილმანდინი      | ფერა                       |
| ჩარეკულა        | დედა                       |
| ჩიტრაგაშლა      | დრანსტედა                  |
| ჩიგლაგი         | დედეგერი                   |
| ჩალა-მგელა      | დილილა                     |
| ჩუდ-გავილა      | დოლო                       |
| ჩიტ-ურმენა      | დანძილი                    |
| ჩიტა პიტნა      | დომი (ხორბლვულია)          |
| ჩხარტულა        | ჩალთუქი (Рисъ)             |

### გვავილები

|                             |                                  |
|-----------------------------|----------------------------------|
| ჩარგიზი                     | ფარა (Hiaacinthus<br>orientalis) |
| სუმბული ანუ ნუნუ-<br>რეზედა |                                  |

### ხევარივი მცენარეები

|   |                                    |
|---|------------------------------------|
| ფუსტუდის ხე (Тер-<br>пентинное дерево)        | ძეწინა (Верба)                     |
| ხის მუშა ანუ ფუ-<br>ჭური (usnea barba-<br>ta) | გრიკი (Верескъ)                    |
| ფუნჯი (Морхъ)                                 | ძეწი (Ива)                         |
| საქმეელი ღერჩამი                              | დიბაძის ფიჭვი, კუ-<br>ლი           |
| (la canne odorante)                           | გვიპარზზი ანუ სო-<br>რო (Кипарисъ) |

### სამრევველო მცენარეები

|  |                                  |
|--|----------------------------------|
| თამბაქო, თუთუნი                          | დაზნი (Anthoxanthum<br>odoratum) |
| სვაია (Humulus Lo-<br>pulus)             | მზეულერიტა                       |
| ნაფავს სდებებ სიმწა-<br>წარის მისაცემად. | ზარნაშა (Инбиръ)                 |
| თუთუბო (Сумакъ)                          | იღი (Кардамонъ)                  |
| დიჭა (Serratula ti-<br>nctoria)          | სოდია                            |
| გვითელი                                  | საბრი (Aloiria cit-<br>riodora)  |
| სადებავია                                | გავის ხე<br>ქინა                 |

## საყურადღებო ცნობები

როგორი პირი უჩანს მოსავალს. დასა-  
ვლეთ-აღმოსავლეთით მოსული ცნობებით  
წელს მთელ საქართველოში და ამიერ კავკა-  
სის სხვა კუთხებშიაც ვაზს არა ჩემულებ-  
რივათ ასია; თუ გამოტანილი მტევანი შერ-  
ჩა ვაზს, დოდებ უდიდეს მოსავალს უნდა მო-  
ველოდეთ. იგივე არ ითქმის სიმინდსა და პურ-  
ზე დასავლეთ-საქართველოში. ზარშანდელი-  
ვით წელსაც მოსავალს გვალვა დაჰყვა თან. ჯერ დათესვა გასჭირდა სიმინდისა, ახლა  
კიდე დ თესილს უპირს ამოსვლა უწვიმობის  
გამო. პური ზემო იმერლოში ძალიან ბევრი  
დათოსა. ამის მიზეზი იყო ზარშანდელი მო-  
უსავლობა. რადგან სიმინდის მოსავალი აქ  
იგვიანებს, ბევრმა პური დათესა, რომ ნაად-

რევი მოსავლით გამოიკვებოს. დათესილი პუ-  
რის ჯეზილი პირველ გაზაფხულზე კარგი  
იყო და ამ უამაღ კი გვალვისაგან მტეად შე-  
წუხებულია

პ. ყ.

თჯაბში სახმარებელი ძმარი.. აიღოთ კა-  
რგი თერიო ლვინო, გაუზიეთ ერთი მესამედი  
წყალი, დაასხით ჩაის ლამბაქზე და დაფით  
თბილ ალაგას (20—25°C), მხოლოდ მჩენე  
კი არა. მეორე დღეს ლამბაქზე ძმრის დედას  
შეამჩნევთ და ლვინოს ძმრის სუნი ექნება.  
მერმე აღეთ პირგანიერი სალვინე, ჩაასხით  
შიგ ნახევრამდე კარგი ლვინო და ჩაურიეთ რაც  
ლამბაქზე ძმარია თავის ძმრის დედით. პირი  
სალვინეს გადუკარით ლეჩაქით, რომ არა



ჩავარდესრა და ჰაერმაც იმუშაოს. საღვინე დადგით ისევ თბილ ალაგას. რამდენიმე დღის შემდეგ კარგი ძმარი იქნება საღვინეში.

ძმარი უნდა ცოტ-ცოტა იხმაროთ და რამდენიც ამოილოთ (სჯობია რეზინით ან მოყარებილი შეშის მილით—სიფონით ამოილოთ, რომ პირზე მოფდებული ძმრის დედა თან არ გადმოაყოლოთ) იძღვნივე ღვინო დაასხათ რომ სულ მუდამ მაგარი და სუფთა ძმარი გქონდეთ. თუ ღვინოს არ დაუმატეთ, ძმარი გაწყალდება და მატლი გაუჩნდება. თუ საღვინეს მაგივრად ჰატრა ბოჩქას იხმართ უკეთესი იქნება.

ამ შემთხვევაში ბოჩქას გარდა იმისა რომ პირი უნდა ლეჩაქის ქსოვალით დაუკოთ, უნდა ძირებშე თრ-თრი ან სამ-სამი შაურიანის ტოლა ნახვეტები გაუკეთოთ, რომ ჰაერმარი პირად იმუშაოს. ბოჩქა ნახვევაზე მეტად არ უნდა აივსოს. თუ შეატყეთ რომ ძმარი წყალდება უნდა ან ღვინო დაუმატოთ ან კიდევ გადმოიღებთ ბოთლებში, დაუკომთ მაგრა პირკას და გადუკრავთ თავს მავთულით ან კასაფით, ისე როგორც ლიმონადის წყლის ბოთლებსა აქვთ, რომ პრობკა მაღლა არ ამოვარდეს.

შემდეგ ჩაალაგებთ ქვაბში და გააცხელებთ წყალთან ერთად 75—80°C. ბოთლები სავსე არ უნდა იყოს, თორებ დასქედება.

### 3. მჭ.

**ალუჩის ან ლორ-ქლიავის მურაბა.** აიღთ ქლიავი ან ლორ-ქლიავა (მწიფე არ უნდა იყოს), გაფუტევენით და წყალში ჩაყარეთ. გააკეთეთ კირ-წყალი (კირი უნდა წყალ-დაუსხელი იყოს). ჩაყარეთ შიგ 2 საათით, ამოიღეთ შემდეგ, რამდენჯერმე კარგათ გაორუეთ, სანამ სუფთა წყალს გაუშვებს, დაჩვლიოტეთ და ისევ წყალში ჩაყარეთ სანამ სისარცა მოამზადებთ. სიროპის მომზადება ასე უნდა: 1 გირვანქა ქლიავზე აიღთ ერთი გირი ვანქა შაქარი. თუ ქლიავი მეავეა, 1 გირ. ქლიავზე უნდა 1 1/2 გირ შაქარი აიღოთ, შემდეგ წამოადულეთ დიდ ცეცხლზე 2 სტაქანი წყალი და როცა დაატყოთ, რომ სიროპი კოვაზე სქლათ ჩამოდის, გადმოიღეთ და ცოტათი გააციეთ, მაგრამ შემდეგ კარგათ გააციეთ, მოიღოთ კაკალი, ჩაალაგეთ ქილაში და წვენი გაწურეთ თხელ კისეაში, რომ სუფთა და სახიამონი იყოს.

ვისაც ესიამოენება ხარშვის დროს ცოტა ნაწილს ჩააგდებს.

როდესაც ქლიავი კარგათ დაიტენიბა და მაიხანება, გადმოიღეთ, გააციეთ და ისე ჩასხით ქილაში.

### პროპორცია ერთ გირვანქაზე.

- 1—გირვანქა ქლიავი.
- 1—1 1/2 გირ. შაქარი.
- 2—სტაქანი წყალი.
- 1—მუჭა წყალ-დაუსხმელი კირი.

**კაკლის მურაბა.** აიღთ წვრილი წენგო, რომელსაც არა აქვს ჯერ გული გამოსახული, გაფუტევენით, დაჩვლიოტეთ და წყალში ჩაყარეთ სამი დღით. ყოველ დილით და საღამოთი წყალი უცვალეთ. შემდეგ ამისა სამი დღით კირ-წყალში ჩაყარეთ (კირი უნდა წყალ დაუსხმელი იყოს). კირიდან რომ ამოიღებთ, კარგათ გარეცხეთ 7—8 ჯერ, მეორეთ დაჩვლიოტეთ და კიდევ სამი დღით ჩაყარეთ წყალში და ისევ დილით და საღამოთი წყალი უცვალეთ. მეათე დღეს კაკალი მოხარუეთ.

### პროპორცია ასი კაკლისთვის

- 1—მუჭა წყალ-დაუსხმელი კირი.
- 1—გირვანქა თაფლი.
- 5—გირვანქა შაქარი.

ცოტა დარიჩინი, ილი და მიხავი.

პირველათ უნდა წამოადულოთ წყალი, ჩაასხათ შიგ 1/2 გირვანქა თაფლი, ჩაყაროთ კაკალი და ადულოთ 2—3 საათი, მერე წყალი გამოუცვალოთ და მეორეთაც ისევ ადულოთ. შემდეგ გააკეთეთ სიროფი:

აიღთ 15—20 სტაქანი წყალი, 5 გირვანქა შაქარი, თხელ კისეიის ბარკში ჩაყარეთ ცოტა დანაყული დარიჩინი, ილი და მიხავი, მოაკარით პირი, ჩააგდეთ სიროპში და ერთად ადულეთ. როცა შეატყობთ რომ სიროპი კაცათი მოვიდა, ჩაყარეთ კაკალი და ადულეთ სინამ მოიხარუება. შემდეგ გააციეთ, მოიღოთ კაკალი, ჩაალაგეთ ქილაში და წვენი გაწურეთ თხელ კისეაში, რომ სუფთა და სახიამონი იყოს.

შაიძლება წვენმა დაიშროს და კაკალი არ იყოს მოხარუელი, ამ შემთხვევაში უნდა მოიქცეთ ასე:

ମାଲ୍‌ବନିଳ ଖୁରାଦା. ଅଇଏ 1 ଗୋଟିଏ ମାଲ୍‌ବନିଳ, 1½ ଶାକାରି, ଦା ¾ ଶ୍ରାକଣି ପ୍ର୍ସାଲ୍‌. ମାଲ୍‌ବନିଳ ଗାରହିତ ଦା ଜୀବତି ଶ୍ରାଵଲିଳ କ୍ରୂଷିକୀ ଶାକାରି ମରାପାର୍ଯ୍ୟ ଦାନାପୁଲ୍‌. ଜୀବତି ସାତିତ ଏହି ଦାଶ୍ରୀର୍ବେତ. ଶେମର୍ଦ୍ଦ୍ୟ 1½ ଗ. ଶାକାରି ଦାମର୍ତ୍ତି-କୁହିତ, ଦାଶ୍ରିତ ¾ ଶ୍ରାକଣି ପ୍ର୍ସାଲ୍‌, ଦାନ୍ଦିତ ଦିଲ ପ୍ରେଚ୍‌ରିଲିଥ୍‌ର ଦା ପ୍ରାମାଣ୍ୟଲ୍‌. ରାତ୍ରା ଶେଖାବି ପ୍ରାମାଣ୍ୟଲ୍‌ ଗାବ୍‌ଜୀଳ ଲେବା କ୍ରୂଷିକିରାନ ମର୍ବିଜୀତ (ହାମ୍ବା), ଗାରହିତ ପ୍ରେଚ୍‌ରିଲିଥ୍‌ ଦା ତାରାରୀ କାନ୍‌ ଗାରହିତ, ଏହି 5 ପ୍ରାତି. ଶେମର୍ଦ୍ଦ୍ୟ ହାମ୍ବାର୍ଯ୍ୟ ମାଲ୍‌ବନିଳ ଦା ବେଶ ପ୍ରାତି ପ୍ରେଚ୍‌ରିଲିଥ୍‌ ଜୀବତି ଶାମର୍ଦ୍ଦ୍ୟ ପ୍ରାମାଣ୍ୟଲ୍‌. ଧର୍ମବେଳ ପ୍ରାମାଣ୍ୟଲ୍‌ ଲେବା ଶାମର୍ଦ୍ଦ୍ୟ ଗାରହିତ କାନ୍‌ଦିଲ୍‌ ପ୍ରେଚ୍‌ରିଲିଥ୍‌, ଶେବନ୍‌ଦିଲ୍‌, ମର୍ବିଜୀତ, ମର୍ବିଜୀତ ଦା ବେଶ ପ୍ରେଚ୍‌ରିଲିଥ୍‌ ଦାନାପୁଲ୍‌.

სამჯერ რომ წამოადულებთ გადმოდგით და  
მერე ნელ ცეცხლზე ადულეთ, სინამ მარცვა-  
ლები დაიტენდა და მოიხარშება.

მალინა ძალიან მწიფე არ უნდა იყოს, თოვლები კურტა ცალკე გამოეცლება. თეთრი მა-

ლინის მურ ბა სრულიათ არ ვარგა, რადგან  
არავითარი სუ ნელოვანობა არა აქვს.

პროპორცია ერთ გირვანქა მალინაზე

## 1—გირვანქა მალიგა.

1<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქა შაქარი.

$\frac{3}{4}$  სტაქანი წყალი.

ელენე

შაბიაბნის შეზავება ვენახის მოსაწამლად. რაღაც ეხლა დროა ვენახების შაბიამნით წამლობისა, მოგყვავს ცნობა შაბიამნის წამლის შეზავების უსახებ. წამალს ასე ამზადებენ:

|                    |   |   |   |   |   |    |       |
|--------------------|---|---|---|---|---|----|-------|
| 1.—შაბიამანი.      | . | . | . | . | . | 6  | გირ.  |
| წყალდუღსხმელი კარი | . | . | . | . | . | 4  | გირ.  |
| წყალი              | . | . | . | . | . | 17 | ვედრა |

፳፭፻፯

|                             |           |    |      |
|-----------------------------|-----------|----|------|
| 2.—ଶାବ୍ଦିବାରୀ.              | . . . . . | 6  | ଗଠ.  |
| ଫ୍ରାଣ୍ଡାଲ୍‌ଡେଇଲ୍‌ମେଲ୍‌କୁରୋ. | . . .     | 4  | ଗଠ.  |
| ଫ୍ରାଣ୍ଡଲ୍                   | . . . . . | 12 | ଗପରୀ |

۲۶ ۲۶۰

3.—შაბიამანი . . . . . 5 გირ.  
 წყალდაუსხმელი კირი. . . . 2 $\frac{1}{2}$  გირ.  
 წყალი . . . . . 8 გირ.

15-16

|                        |           |
|------------------------|-----------|
| 4.—შაბიამანი . . . . . | 71/2 გირ. |
| წყალდაუსხმელი კირი . . | 32/3 გირ. |
| წყალი . . . . .        | 8 ვერტა   |

# განცხადების

სამეცნიერო ჟურნალი

201.13.50

ପିଲାମ୍ବାଦି ଶିଳ୍ପି

მიღება ხელისმოწერა 1910 წლისა-  
თვის.

თუ შესძლებს ოდაქცია, ჟურნალის  
ხელისმომწერლებს წლის დამლევს ვა-  
უგზავნის უფასოდ თითო წიგნს — ბრი-  
შურას მეურნეობის რომელიმე დარ-  
გიდან.

Հյօսքը օժանքութեան Տիֆլիս, Բար-  
տинская, 5. Ռեդակցիա «ՄՕՍԱՎԱԼԻ».

କୃତ୍ୟାମାନ

ტფილისი, მისამართვის ქუჩა, № 140,  
აღმელიც ამზადებს მეფეტკრეობაში  
საჭირო ყველანაირ იარაღებსა და ავე-  
ჯეულობას.

დედა-უსმერის გაზრდა ხელოვნურად.

ଶ୍ରେଷ୍ଠତ୍ତୁମାନେବୀର ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ  
ପଦ୍ମପୁଣ୍ୟଲିଙ୍ଗବ୍ରଦ୍ଧେନ ଏବଂ ତ୍ୟାଗିଲାନ  
ତାମଣେ ଏବଂ ଫଳିତା ବାନ୍ଧିଲେ ।

Յուղը կայունանքու դրասու.



სახელმწიფო მიწვებისა და სხვა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კომისიონერი და დამკავშირებელი.

၃. ၂. ဖြန်စွမ်းချေခွဲ စွဲပြုလုပ်ဆောင်

აკარაშები და წამლები  
გაღ-ვენახების უსანაგ-  
ლობის მიზანით ლაპარ

სუვთა შაგიაგანი ცნობილი მაკ-  
ლესფილდისა და სხვა ფირმებისა.

გოგირდი მარსელისა და პირდაპირ  
იტალიიდან გამოწერილი სხვადასხვა  
ფირმებისა და ჩვენი საკუთარი ფირმისა.

କେବଳବୀଲ୍ଲି ପାଶିନ୍ତରିଶାଖାଟିଲେ ମହାବୀ  
ପାଶିନ୍ତରିଶାଖାଟିଲେ ଦିଲ୍ଲିନ୍ଦ୍ରିଯାକିରଣା ଲାଙ୍ଘନ-  
ଅନ୍ଧାରୀ.

ପୁଣ୍ୟବେଳୀଜାତିରୁହାବି (ଶ୍ରୀବାସନ୍ଧୂରୁହାବି-  
ଲୋ ଅବାରାତ୍ରୀବି) ମନ୍ଦିରରୁଗ୍ରୂପୀରୁ, ବେଳମନ୍ଦିର-  
ରୂପରୁହାବି ଏବଂ କ୍ଷେତ୍ରରୁହାବିକୁପ୍ରକାଶିବାରୁ।

მზად გაკეთებული პარაშოკი ვაზებ-  
ზე და ხეხილებზე შესასხურებლად სო-  
კოები! ა და მწყრ-ჭია-მატლების წინა-  
აღმდევ „მკლერი“ სხვადასხვა ფაბრი-  
კებისა.

ԿՇԵՐԺԵՆՈՍ ՏԱՇՄԱՀԱՅՑՈ (ՅՀԵՏԵՑՈ) ԹԱ-  
ՑՈՂՈՂԵՏՈ, ԹԱՐՄԱՆՈՂԵՏՈ ԴԱ ՏԵՎԱ ԳՐԱՊՐՈ-  
ԿԵՑՈՒՍԱ.

ლვინისა და სპირტის ამოსალები  
ნასოსები აწუ პომები გვილებოსი.

ლვინის გასაშინჯი აპარატები სა-  
ლერონ-ჯურდენისა.

ვაზების შესაყელი და ახახვევი  
რაცი.

აზბესტის ფილტრები მაღოვიჩის,  
რუსების და სხვა ფაზრიკებისა.

აცემილების ფარვები გაღალ კოშ-  
კებზე ასანთები შეიტყასი.

კანტორია კისრულობს სხვა ყოველი  
გვარი იარაღებისა და მაშინების გამო-  
წერასაც, რომელნიც კი საჭირონი იქ-  
ნებიან მევნენახე-მეღვინეებისათვის, მე-  
ბაღეებისათვის და ყველა სხვა მეურნე-  
თათვის.

დაწერილებითი ცნობების მისაღებათ  
მსურველნი მიმართავენ მ. ე. ფრიდო-  
ნოვს ტეილისში.

კატალოგები უფასოდ.

მოსავლის რეზაქციაში იყრდნება ჰავდები  
ძართული წიგნები:

ସ. ନିର୍ମାଣ କରୁଥିଲେ ଏହିମେତ୍ରରେ ପାଇଁ  
ଏହି ଅମ୍ବାକାନ୍ଦିଶା (ମେଟ୍ରେ ନା-  
ମେଟ୍ରେ) 50 ଟଙ୍କା

**ომისიզე** (თარგმანი) ქიმია 3-რ. როსკო-  
სი (შეორუ გამოცემა) 30 კ.

**ନମ୍ବର୍ସଙ୍ଗେ** ଶାକୋଗାରଦୟବନ୍ଧୁରେ ଉତ୍ତରବିର୍ଯ୍ୟରେ ବିଶ୍ଵାସିତ ହେଲାମାତା  
ପାଇଁ ଏହାରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

(ამ გამოცემის წმინდა შემთხვევადი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოვანოდ არის დანიშნული).

## სამეცნიერო ჟურნალი

ა ტ უ ს ა ვ ა ლ ი

რედაქტ.-გამოქვეყნი ვ. ი. რცხილაძე